შპს „ვარციხე 2005“

ტექნიკური დავალება

შპს „ვარციხე 2005“-ის კუთვნილი ჰესი 3-ის შიდა კიბეების შეკეთება

1. ზოგადი დახასიათება

შპს“ ვარციხე 2005“-ის კუთვნილი ჰესი 3 – ექსპლუატაციაში შევიდა 1980 წ. ჰესის ტეროტორიაზე განლაგებულია ძირითადი შენობა - ჰესის საგენერატორო შენობა, რომელშიც დამონტაჟებულია ჰესის ძირითადი ელ.ძალოვანი მოწყობილობები - ჰიდროაგრეგტაები და ასევე მათი დამხმარე მოწყობილობები და შედგება 4 სართულიდან: ერთი მიწისზედა სართული - სამანქანო დარბაზი; 3 მიწისქვეშა სართული - სატურბინო დარბაზი, ტექნიკური წყალმომარაგების დარბაზი და სადრენაჟო გალერეა.

სართულები დაკავშირებულია ერმანეთთან შიდა კიბეებით - შენობის მარჯვენა და მარცხენა მხარეს), რომლებიც აგებულია რკინის (მეტალის) ჩარჩოებზე დადგმული ბეტონის საფეხურებით. ხანგრძლივი ექსპლუატაციის შედეგად და წყლის და ნესტის ზემოქმედების შედეგად კიბეები ძლერ არის დაზიანებული - კოროზირებულია, ზიგიერთ ადგილას მეტალის კონსტრუქციები მასიურად გამოსულია მწყოდრიდან

ელ.მოწყობილობებში უსაფრთხოების ტექნიკის წესების დაცვის მიზნით და დანადგარების უსაფრთხოდ მუშაობის მიზნით აუცილებელია აღნიშნული კიბეების აღდგენა რისთვისაც საჭიროა მათი კაპიტალური შეკეთება.

2. სამუშაოს ადგილმდებარეობა

დასავლეთ საქართველო, იმერეთის რეგიონში წყალტუბოსა და სამტრედიის მუნიციპალიტეტების ტერიტორიებზე განლაგებული ოპერირებადი ვარციხე ჰესების კასკადი, შემდგარი ოთხი იდენტური ჰიდოელექტროსადგურიდან:

ჰესი 3 - წყალტუბოს რაიონი, სოფელი ოფშკვითი, საკ კოდი 29.16.35.014

3. სამუშაოს მოკლე აღწერა

შესასრულებელი სამუშაო წარმოადგენს არსებული კიბის უჯრედების სრულ დემონტაჟს (***არსებული კიბის უჯრედების პარამეტრები იხ. დანართი 1-1, 1-2, 1-3-ში)*** და ახალი კიბის უჯრედების მონტაჟს, მათ შორის :

- არსებული კიბის უჯრედების კიბის სეფეხურების დემონტაჟი;
- არსებული კიბის უჯრედების კონსტრუქციების დემონტაჟი;
- ახალი მეტალოკონსტრუქცოების (კიბის მარშების) მონტაჟი;
- ბაქნის საყრდენების მონტაჟი;
- ახალი ბაქნის მეტალოკონსტრუქციების მონტაჟი;

- ახალი კიბის საფეხურების დამზადება-დამუშავება და მონტაჟი (საფეხურების მასალა - რკინის ფირფიტა სისქით 3 მმ, ე.წ. „რიფლიონკა“).

- ახალი ბაქნების დამზადება-დამუშავება და მონტაჟი (ბაქანის მასალა - რკინის ფირფიტა სისქით 3 მმ, ე.წ. „რიფლიონკა“).

- მეტალოკონსტრუქციების და კიბის საფეხურების ანტიკოროზიული საღებაით შეღებვა.

შენიშვნა: **ტექნიკურ დავალებას თან დაერთვის შესასრულებელი სამუშაოების (მასალების) მოცულობების ცხრილი (*დანართი 2 - განფასება)* , რომლის მიხედვითაც ტენდერში მონაწილე პრეტენდეტმა უნდა წარმოადგინოს საჭირო მასალებისა და მომსახურეობის ღირებულება.**

4. დამატებითი მოთხოვნები

– მსგავსი სამუშაოების წარმოების გამოცდილება;
– წარმოდგენა იმ პროექტების, რომელიც ჩატარებულია საქართველოში;

შპს „ვარციხე 2005“-ის ადმინისტრაცია